პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი | № 78 (13199) | შაბათი, 3 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ლენინის იდეები — მასებში!

ბევრი სასიხარულო ცნობა მოდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებიდან, მეცხოველეობის ფერმებიდან, ჩაის პლანტაციებიდან, ხეხილისა და ციტრუსების ბაღებიდან. სოფლის მშრომელები ამ გაზაფხულიდანვე იბრძვიან იმისათვის, რომ უკვე წელს მიაღწიონ მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის გზაზე. მთელი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო თესვის, ჩაის პლანტაციების, ვენახების სამუშაოთა მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში სოფლის მშრომელები მარტონი როდი არიან. მათთან ერთად ამ ბრძოლაში აქტიურად ებმებიან მეცნიერები, მუშები, სხვა პროფესიების ადამიანები.

ამ დღეებში კოლმეურნეობებისადმი შეფობა იკისრეს ჰიუთერის მაღაროელებმა და ტყიბულელმა მეშახტეებმა. ქალთურის ახალი ითხვისის მაღაროს კოლექტივმა სოფელ ითხვისის კოლმეურნეობას საგაზაფხულოდ მოუხნა 10 ჰექტარი ფართობი, ლენინის სახელობის მაღაროს მუშა-მოსამსახურეებმა სოფელ ნიგოზეთის კოლმეურნეობას დაუშვადეს ფარცხები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამ დღეებში ფარცხები დაუშვადა აგრეთვე ტყიბულქვანახშირის ტრესტის სამშენებლო სამმართველომ სოფელ კოკის კოლმეურნეობას.

საჭიროა კიდევ უფრო ღრმად დავარწმუნოთ თვითეული ადამიანი, რა დარგშიც არ უნდა მუშაობდეს იგი, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელება საერთო-სახალხო საქმეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებასა და მათი როლის ამაღლებას. პარტიის რაიკომები ყოველდღიურად უნდა ეყრდნობოდნენ მათ, ეხმარებოდნენ მასებთან ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობაში“.

მთავარი და განმსაზღვრელი ამოცანები პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მოღვაწეობაში — ეს არის ყოველდღიური ზრუნვა ადამიანებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდაზე, მათი თვითღირებულების შემცირებაზე და წარმოების ყველა დარგის რენტაბელობისათვის ბრძოლაზე. ამ მხრივ სერიოზული გამოცდის წინაშე დგანან ჩვენი რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო პარტიული კომიტეტები.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რომლებზეც ახლა განსაკუთრებით ჩვენი პარტია დიდ იმედებს ამყარებს, შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ პროპაგანდისტული და აღმზრდელობითი მუშაობის მდიდარი ფორმები და მეთოდები, პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე დაყრდნობით, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის ფართო მონაწილეობით უნარიანად უნდა წარმართონ მასების შემოქმედებითი ენერგია, რომ პრაქტიკულად გადაიკრას სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები, რომლებიც პარტიამ დასახა.



შვიდწლედის მშენებლობაზე

ლენინგრადი (საკავშირო) — ... მთავრობის ... ლობის სახელობის ლითონის ქარხნის ... ტურბინების ... ულ მშენებლობებს გაუგზავნიან სულ უფრო მეტ ორთქლისა და ჰიდრავლიკურ მანქანებს. მათი წარმოება გასულ წელთან შედარებით გაიზრდება 31 პროცენტით. ახლა საამქროს კოლექტივი მუშაობს 200 და 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინების შექმნაზე.

სურათზე: საროტორო უბნის ამწყობი ზეინკალი ი. კლემენტიევი.

ფოტო პ. ფედოტოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ოქრასი ქალაქების სიჩქარე საათში

რიგა, 2 აპრილი. (საკავშირო ინფორ.). ლატვიის სპეციალისტებმა დაიწყეს ჩვენს ქვეყანაში პირველი დღის ბიმოსხლის ჩქარული მოტორვაგონიანი აქსპრესის კონსტრუირება. ცალკეულ უბნებზე ლოკომოტივი განავითარებს 200 კილომეტრს საათში. მატარებლის ვაგონები დამზადებულია ალუმინის მსუბუქი შენადნობისაგან. მათი ინტერიერი თვითმფრინავისა სალონს მოგვაგონებს. მატარებლის ძრავების სიმძლავრე აღწევს 16 ათას ცხენის ძალას. ეს ორსახეანარჯარ მეტია, ვიდრე აქვს ყველაზე მძლავრ სამგზავრო ელმავალს. სპეციალური ელექტროსისტემა უზრუნველყოფს რბილ უმუშრუბებას. მატარებლის მართვა ავტომატიზებული იქნება.

ეს ექსპერიმენტი კეთილმოწყობილია. პრუნვა სავარძლები საშუალებას მისცემენ მგზავრებს ყოველთვის მატარებლის მსვლელობის მიმართულებით დასხდნენ. ტალეფონის საშუალებით შესაძლებელი იქნება მოგზაურობის დროს მოსკოვთან და ლენინგრადთან დალაპარაკება.

მიხაკები შეყვარებულებს სჭირდებათ

მოსკოვი, 1 აპრილი. (საკავშირო ინფორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში ეკრანიზაციებს უჩვენეს ახალი ფერადი ფილმი „მიხაკები შეყვარებულს სჭირდებათ“, ფილმის დამდგმელი და ოპერატორია ა. სიტორჩენი, მან ი. მენჟერიცკისთან თანაავტორობით დაწერა სცენარიც.

წითელი მიხაკი ოდითგანვე რევოლუციის სიმბოლოდ ითვლება. ამ ყვავილით ამკობენ დღეუბილ მებრძოლთა საფლავებს, მაგრამ ამ ყვავილს უძღვნიან შეყვარებულსაც... სურათს საფუძვლად უდევს მოგზაურის შთაბეჭდილებანი. კინოფილმი მატარ ჩვენს ქვეყანაში იკა არა, არამედ ევროპის ბევრ ქვეყანაში გადაღებული, რომელთა მიწა შეუფლია საბჭოთა მეომრებს. სისხლით.

სურათი ეკრანებზე გამოვა ჰიტლერულ გერმანიაზე ჩვენი დიადი გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად.

ჩვენს დიად საშეობლოში

მშენებლები ქიმიკოსებმა შეცვალეს △ საამქრო ამუშავდა △ მედიცინისა და ბიოლოგიის კავშირი △ ახალი ოპტიკური „თვალი“ △ ლენინგრადელები — უნგრელ მეგობრებს △ მეცხვარეობის ახალი საბჭოთა მეურნეობანი △ კენზის ცისფერ ეკრანებზეა დედაქალაქი △ მეზღვაურთა დღესასწაული

ამუშავდა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ნოვოლიპეცკის ანზოტიანი ნასუქების ქარხანა. იგი უმაგალითოდ მოკლე ვადაში — ერთ წელიწადში აშენდა. საწარმო თითქმის მთლიანად ავტომატიზებულია. მემონტაჟეებმა აქ თორმეტი ათასი სხვადასხვა ხელსაწყო დადგეს, რომელთა მეშვეობით რთული ტექნოლოგიური პროცესი ხორცელდება. ერთ-ერთი უახლესი დანადგარი ჰაერის უსაზღვრო ოკეანიდან გამოპყოფს აზოტს. ნასუქების წარმოებისათვის ნედლეულად აქ იყენებენ აზოტსა და კოქსის გაზს.

იკვეთების მეტალურგიულ ქარხანაში პროდუქციის გამოშვებას დაიწყო ჩვენს ქვეყანაში უდიდესმა ლეგირებული მასთულის საამქრომ. საამქრო ვადამდე გადაეცა საექსპლოატაციოდ. ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებლები და ხელსაწყოთმშენებლები აპირებენ მიიღებენ ათიათასობით ტონა სხვადასხვა კვეთის მაღალხარისხოვან ლეგირებულ მასთულს.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის პირველმა სამეცნიერო სესიამ, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა მშვიდობიანი ატომის ქალაქში — ობნინსკში, დასაბამი მისცა ახალ ეტაპს მედიცინის მეცნიერების ამ დიდი ცენტრის განვითარებაში. სესია მიეძღვნა სამედიცინო და ბიოლოგიური რადიოლოგიის აქტუალური საკითხების განხილვას. სესიაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ტაშკენტის, ხარკოვის მთელი რიგი დიდი ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერები. სტუმრები გაეცნენ ინსტიტუტის საექსპერიმენტო და კლინიკურ სექტორებს, დაათვალიერეს მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური.

სოფეთის ბიუროკანის ასტროფიზიკური ობსერვატორია კიდევ ერთ დიდ ტელესკოპს მიიღებს. ოთხმეწვერვალიან არაგაცის ლამაზ ფერდობზე უკვე მოვიდნენ მშენებელთა ბრიგადები. მათ დაიწყეს კოშკის აგება ახალი ოპტიკური „თვალისათვის“. იგი უნიკალური ნაგებობა იქნება და სიმაღლით ათსართულიან სახლს გაუთანაბრდება.

კოშკის ზემო ნაწილს ახალი ტელესკოპი დაიკავებს. მისი ოპტიკური სისტემის საფფეველი იქნება პარაბოლური სარკე, რომლის დიამეტრი 2,6 მეტრია. დანადგარის მოძრავი ნაწილი, რომელიც 70 ტონას იწონის, ეგრეთწოდებულ ჰიდროსტატიკურ ბალიშებზე იბრუნებს. ახალი ტელესკოპი გათვალისწინებულია სპეციალური ნაწილების ელექტრონული შესაკვლისათვის. იგი სრულ ავტოფიზიკოსებს საშუალებას მისცემს შორეული სამყაროების ბევრი საიდუმლოება ამოიცნონ.

ლენინგრადის კარლ მარქსის სახელობის ფირმის ორი საჩეზი მანქანა იმდენსავე პროდუქციას იძლევა, რამდენსაც სამი ასეთივე იბერიული „ალატი“ ან ამერიკული „უაიტენი“. ამიტომ უნგრელმა ფიეიტრებმა გადაწყვიტეს თავიანთი ფაბრიკები აღტურვონ უფრო მწარმოებლური საბჭოთა მოწყობილობით. ლენინგრადის ფირმა უკვე უგზავნის თავის მანქანებს უნგრეთს.

ლენინგრადის ეკონომიური რაიონი ყოველწლიურად მოიმე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ასობით შეკვეთას ასრულებს. აქედან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში იგზავნება ლითონი, ნაჯედი, ძრავები, სამშენებლო მანქანები, ელექტროშესადული აპარატები. სხვადასხვა ხელსაწყო და ბეჭრი სხვა რამ. უნგრეთის მაღაზიები ნივთს ნაპირებიდან იღებენ კამფეტებს, ხუნამოს ფაბრიკა „ჩრდილოეთის ნათების“ მარკით, პაპიროსებს, ქსოვილებს.

ბურიეთის ოლქში დაიწყო ყაზახეთში უდიდესი მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის „ყარაყუმის“ მშენებლობა. ახალი მეურნეობისათვის გამოყოფილია მილიონნახევარი ჰექტარი სამთვრები ოთხმოცი ათასი ცხვრისათვის. ამ უზარმაზარი საბჭოთა მეურნეობის სამფლობელოები დანიისოდენა, სახელმწიფოს ტერიტორიის მესამედს უდრის.

ყაზახეთის უდაბურ და ნახევრად უდაბურ მიწებზე დაიწყო სამოცდაათი ახალი მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო ცენტრების მშენებლობა.

ალეზაში დაიწყო ცენტრალური ტელევიზიის გადაცემების რეგულარული რეტრანსლაცია. მოსკოვი ყოველდღე „ესტუმრება“ ოლქის ქალაქებისა და სოფლების 55 ათას ცისფერ ეკრანს.

სახელმწიფო კომისიამ მიიღო და კარგად შეაფასა ახალი რადიოსარეკლო ხაზი სარანსკ-პენზა, რომლის სიგრძე 110 კილომეტრია.

შორეული აღმოსავლეთის სამხედრო მეზღვაურები და მშრომელები ოთხ აპრილს აღნიშნავენ წყნარი ოკეანის ფლოტის დღეს.

ფლოტის შექმნა დაიწყო 1932 წელს. შორეული აღმოსავლეთის სახელოვნო ძალების შეფი გახდა ლენინური კომკავშირი, რომლის საგზურებითაც ზღვისპირეთში ჩავიდნენ ახალგაზრდა ენერგიული ტანმოსილები.

წყნარი ოკეანის ბეჭრმა მეზღვაურმა მიიღო მონაწილეობა დიდ სამამულო ომში. ისინი ანადგურებდნენ ჰიტლერელებს ზღვაში, ხმელეთზე და საჰაერში, იბრძოდნენ დონსა და უკრაინაში, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მინდერებში, მიეიდნენ დამარცხებულ რაიხსტაგამდე, მონაწილეობდნენ საომარ ოპერაციებში იაპონიის წინააღმდეგ.

წყნარი ოკეანის ფლოტს ამჟამად თავის შემადგენლობაში ჰყავს ხომალდები, ნაწილები და შენაერთები, რომლებსაც მიენიჭათ გვარდიელის წოდება, დაჯილდოებული არიან წითელი დროშა ორდენით. წყნარი ოკეანის 44 მეზღვაური ატარებს საბჭოთა კავშირის გმირის სპეციალურ წოდებას.

წყნარი ოკეანის ფლოტის დღესასწაულის წინ ყველა საწარმოში, სოფლში გაიმართა საუბრები და ლექციები წყნარი ოკეანის სამხედროსაზღვაო ძალების, მათი სახელოვანი გზის შესახებ.

ლენინური პრემიების კომიტეტში

მოსკოვი, 2 აპრილი. (საკადესი). დღეს ნ. ს. ხიხოვნოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის აპრილის სესია

1965 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წამოყენებულ ნაშრომთა განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა საზოგადოებრივობამ.

17 ქვეყნის მონოლეგა

ვაშინგტონი, 2 აპრილი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესის საცოფთა წარმომადგენელმა მარშალ რაიტმა პრეს-კონფერენციაზე გამაცხადა, რომ სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა გუშინ მიიღო 17 ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდეს წინასწარი პირობების წაყენებლად. მოლაპარაკების გზით მოაწესრიგონ კონფლიქტი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

დღესასწაულზე ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 2 აპრილი. (საკადესი). დღეს უნგრეთის განთავისუფლების 20 წლისთავის გამო ზეიმზე უნგრეთის დედაქალაქში ჩამოვიდნენ საბჭოთა კოსმონავტი ვფრინავეები 3. 3. ნიკოლაევა-ტერეშკოვა და ა. გ. ნიკოლაევი.

დე გოლი შეხვდა ვილსონს

პარიზი, 2 აპრილი. (საკადესი). დღეს ელისეს სასახლეში გაიმართა საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის ვილსონის შეხვედრა. შეხვედრას სხვა არავინ დასწრებია.

ტალინელი ექიმი

პატრიოტები უტევენ

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. (საკადესი). სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტები თავს დაესხნენ მთავრობა ჯარების ბატალიონს, საიგონის დასავლეთით 32 კილომეტრზე მდებარე რაიონში. თავდასხმის დროს ჩამოაგდეს ამერიკის ერთი ვერტმფრინავი. მოკლეს ამერიკის სხვა ვერტმფრინავის მსროლელი და დაჭრეს ეკიპაჟის ოთხი წევრი. ხუთი სხვა ამერიკელის ბედი ცნობილი არ არის. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან.



თუ ვისი ხმით მღერის სამხრეთ-ვიეტნამელი სამხედრო ლიდერი გენერალი თხი, ნათლად ჩანს კამბას ნახატიდან, რომელიც „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა.

მეგობრული საუბარი

ბუდაპეშტი, 2 აპრილი. (საკადესი). დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობმი და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რევოლუციური მუშურ-ვლეხური მთავრობის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა მიიღო საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც ა. ი. მიკოიანი მეთაურობს, აგრეთვე რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების წევრები. საუბარში, რომელმაც გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, მონაწილეობდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ბელა ბისკუ, დეეე ნემეში, დიულა კალაი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ლაიოშ ცინეგე და უნგრეთის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

ა. ა. გრომეიკოს თურქეთში ვიზიტის გამო

ანკარა მიღწეული შეთანხმების გამო, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომეიკო საპასუხო ვიზიტად ეწვეოდა თურქეთს, მხარეებმა დათქვეს, რომ ვიზიტი გაიმართება მიმდინარე წლის 17-22 მაისს.

გაზაფხულის სურნელი

მინდვრებსა და პლანტაციებში

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის მოწინავე მექანიზატორი ჯ. ბერულავა, რომელიც ლაო ჩაის მექანიზებულად კრეფის ყოველდღიურ დავალებას 120-140 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ბ. შანავასი.

ᲐᲠ ᲨᲔᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗ ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

საგაზაფხულო კულტურების თესვა ახლა ერთ-ერთი ძირითადი სამუშაოა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პირველი აპრილის ცნობებით, ზუგდიდის რაიონის მხვნელ-მთესველებმა საგაზაფხულო კულტურების დათესილი ჰექტარი 8.937 ჰექტარი. აქედან მარტო მზესუმზირა — 7.388 ჰექტარი.

თესვის ფრონტი ფართოდ არის გაშლილი სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აკაურამ მხვნელ-მთესველებმა საგაზაფხულო კულტურები უკვე დათესეს 6.446 ჰექტარი, აქედან მარტო კოლმეურნეობებში — 6.250 ჰექტარი.

საბარათიოს რაიონში ყოველდღე მატულობს თესვის ტემპი. კოლმეურნეებმა და კოლმეურნე მექანიზატორებმა საგაზაფხულოდ დათესეს 3.301 ჰექტარი.

ბორის რაიონის მხვნელ-მთესველებმა საგაზაფხულო კულტურები უკვე 2.567 ჰექტარი დათესეს.

გაზაფხულის ხელსაყრელ ამინდებს კარგად იყენებენ ქასპის რაიონში. აქ დათესეა 2.452 ჰექტარი სხვადასხვა სახის საგაზაფხულო კულტურები.

ქარელის რაიონის მხვნელ-მთესველთა პირობა იყო პირველ აპრილამდე საგაზაფხულოდ დათესილათ 1.500 ჰექტარი, ფაქტიურად პირობას 260 ჰექტარით გადაეჭარბეს.

გარდაბნის რაიონში ყოველდღე დილაადრიანად გადიან მინდვრად სამუშაოდ მექანიზატორები. ისინი მიწას აბარებენ ჯანსაღ თესლს. საგაზაფხულო კულტურები უკვე დათესა 3.285 ჰექტარი.

მინდვრის სამუშაოთა ფრონტი ყოველდღე მატულობს ბურჯანის რაიონში, სადაც საგაზაფხულოდ დათესა 1.235 ჰექტარი.

აპრილის ხელსაყრელ ამინდებს ხელიდან არ უშვებენ და საგაზაფხულო კულტურების თესვა მასობრივად გაჩაღეს ახალციხის, ხაშურის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთის, მარნეულის, გოლენისის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს, ვანის, დმანისის, მაიაკოვსკის, თელავლოს, სარხეხის, ცოცის რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში.

სულ საქართველოს რესპუბლიკაში პირველი აპრილისათვის საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო 41.435 ჰექტარი, აქედან მარტო კოლმეურნეობებში — 31.352 ჰექტარი.

ᲓᲣᲨᲔᲚ ᲛᲮᲕᲜᲔᲚ-ᲛᲗᲔᲡᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

დუშეთი. (სპეც. კორ.). მარტო საგაზაფხულო თესვაა ამ კულტურებე, — განაცხადა საუბარში საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. შადურმა**, — გუშინდელი დღის ჩათვლით დათესილი 400 ჰექტარი. შარშან ამ დროისათვის დათესილი იყო მხოლოდ 50 ჰექტარი.

დაწინაურდნენ მჭადიჯვრის, ბაზალეთის, შუახევის, არაგვისპირის და სხვა კოლმეურნეობები. აკაურმა მხვნელ-მთესველებმა ხორბლისა და ქერის თესვა მთლიანად დაამთავრეს.

რაიონში სწრაფად და მოალბარისხოვნად ითესება აგრეთვე საკვები ჭარხალი, კარტოფილი. პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებიან არაგვისპირის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი **ვ. თანიაშვილი**, ბაზალეთის კოლმეურნეობის მექანიზატორი **რ. ვერძეული**, მჭადიჯვრის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი **დ. მახარაშვილი** და შუახევის კოლმეურნეობის მექანიზატორი **ს. ნაზღაიძე**. თვითეული მათგანი მინდვრის სამუშაოთა ყოველდღიურ გეგმას ორმაგად ასრულებს.

დუშელმა მხვნელ-მთესველებმა იკისრეს შვიდწლედის დამამთავრებელ წელს 2.820 ჰექტარი სიმინდი დათესონ. პირობის შესასრულებლად აქედანვე შეუდგნენ მუშაობას. მზადა აქვთ კონდიციური თესლი.

ᲓᲠᲝᲨᲐ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ

ბათუმი. (სპეც. კორ.). სასიხარულო ცნობა მიიღო ამას წინათ საერთო მშენებლობის მე-5 ტრესტის მექანიზაციის სამმართველოს კოლექტივმა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტმა გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით სამმართველოს მიაკუთვნეს პირველი ადგილი და სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მექანიზაციის სამმართველომ სასახელო წარმატებები მოიპოვა მიმდინარე წლის სამ თვეშიც. პირველ კვარტალში მან 255 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა, რაც ორჯერ აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდისას.

მეორე ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა საერთო მშენებლობის მეხუთე ტრესტის მე-4 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა. სამმართველომ ახლა აშენებს ისეთ დიდმნიშვნელოვან ობიექტებს, როგორიც არის ქარხანა „ელექტროყარი“, ინერტული მასალების ქარხანა, გონიოს ჩაის ფაბრიკა, საავადმყოფო, სამი საცხოვრებელი სახლი ქალაქ ბათუმში და სხვ.

ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ

ანკარა, 2 აპრილი. (საკადესი). ... ა. ა. გრომეიკოს ... ეწვევა თურქეთს, ... ოფიციალურ ... ეს ... ეს ... ...

ᲕᲘᲠᲢᲣᲝᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

მახარაძის რაიონის პარტიული აქტივის კრება

მახარაძე. (საკ. კორ.). გუშინ აქ გაიმართა რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელშაც განხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ალ. თოთიძე.

მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა ორატორებმა ერთსულოვნად მოიწონეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა შეიმუშავა.

რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ი. ჭანკუყაძემ.

აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მთლიანად და სავსებით იწონებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

●

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ

დუშეთი. (ჩვენი კორ.). შრომითი აქტივობით აღსავსე გაზაფხულის ამ დღეებში საკოლმეურნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებს მეტად სასურველი სტუმრები ჰყავთ. ესენი არიან პარტიის დუშეთის რაიკომის ფეკრები, საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილების ლექტორები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ ლექციების ციკლს კითხულობენ. რაიონის ყველა 21 კოლმეურნეობაში უკვე მოეწყო პირველი ლექციები.

მუშრომელებს პლენუმის მასალებს აცნობს 700-ზე მეტი აგიტატორი.

◆

მაღაროელთა ძმური ხელი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ძმურ ხელს უწედიან კოლმეურნეებს.

ახალი ითხვისის მაღაროს კოლექტივმა შეეობა აიღო სოფელ ითხვისის კოლმეურნეობაზე. ითხვისელმა მაღაროელებმა კოლმეურნეებს საგაზაფხულოდ 10 ჰექტარი მოუხნეს.

ლენინის სახელობის მაღაროს მუშა-მოსამსახურეებმა სოფელ ნიგოზეთის კოლმეურნეებს დაუმზადეს ფარცხები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ქალაქის ავტოსატრანსპორტო კანტორამ ამავე კოლმეურნეობას ჭიათურიდან 25 ტონა მინერალური სასუქი და პირუტყვის საკვები გადაუზიდა.

●

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ჩოხატაური. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები პლენუმის გადაწყვეტილებათა მძლავრი ზემოქმედებით ცხოვრობენ. უხვი მოსავლისათვის ბრძოლით ამ პასუხსაგებ ეტაპზე მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას სათავეში უდგანან პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

ახლა 800 აგიტატორი ეწევა პლენუმის მასალებია პროპაგანდას. ოიკა აგიტატორმა ნ. სირაძემ სოფელ გორაბერეჟოულის კოლმეურნეობის მეცხოველეებს გააცნო მეცხოველეობის პროდუქტების მოქმედი შესასყიდი და დამზადების ფასების დანამატები, პარტიის ზრუნვით აღფრთოვანებულმა მშრომელებმა გადიდებული ყალღებელებები იკისრეს. გორაბერეჟოულელები დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ ერთწლიანი და ორაგალწლიანი კულტურების უხვი მოსავლის საფუძველის ჩასაყრელადაც.

გაააქტიეს მუშაობა ჩაისუბნელმა, ხიდისთაველმა, ხეკელმა აგიტატორებმა.

ᲐᲕᲚᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). დიდი გამოცოცხლებაა რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებსა და ჩაის პლანტაციებში. მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ.

1.200-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე უშუალოდ ბრიგადებში, ფერმებსა და აგროუბნებში მშრომელებს განუმარტავს პლენუმის გადაწყვეტილებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალების გაცნობისას მშრომელები აყენებენ თავიანთ წინადადებებს, ავლინებენ რეზერვებს, სახავენ წინსვლის გზებს.

ᲐᲘ ᲠᲐ ᲛᲝᲒᲕᲪᲐ ᲛᲐᲒᲕᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲓᲐᲘᲜᲒᲕᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐᲛ

ძალაში შევიდა შვიდწლედის დამამთავრებელი წელი. ახლა შეიძლება განვლილ მუშაობაში ზოგიერთი რამ შევაჯამოთ და ანალიზი გავუკეთოთ — რა გავაკეთეთ, ან რის გაკეთება შეიძლებოდა და გამოგვრჩა. როცა ამაზე ვფიქრობთ, მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებისაკენ. ჩვენი ვალია შევისწავლოთ ეს გადაწყვეტილებანი და არა სიტყვით, არამედ საქმით ვიბრძოლოთ მათი განხორციელებისათვის.

ჩვენი კოლმეურნეობისათვის წამყვან დარგებად ითვლება მემინდვრეობა და მესაქონლეობა. რა შედეგები გვაქვს ამ დარგებში? შემოდგომის ხორბალი, რომელიც 305 ჰექტარზე გვეთესა, გეგმით საშუალოდ თითეულ ჰექტარზე უნდა მიგვიღო 12 ცენტნერი, მივიღეთ 15,1 ცენტნერი, ოჩკერ მეტი, ვიდრე წინა წელს. 1963 წელთან შედარებით შარშან ოჩკერ და უფრო მეტჯერ გავზარდეთ ქერის მოსავლიანობაც. გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მივიღეთ 18 ცენტნერი. ქერი გადაჭარბებით შევასრულეთ სიმინდის მოსავლიანობის გეგმაც. 19 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მივიღეთ 23 ცენტნერი. არც კარტოფილის მოყვანაში შეგვიტყვეთია თავი. ჰექტარზე გეგმის გადამეტებით 62,2 ცენტნერი კარტოფილი მივიღეთ.

ხაზარმო დავალებათა წარმატებით შესრულებამ კოლმეურნეობას საშუალება მისცა მკვეთრად გაეზარდა ფულადი შემოსავალი. მოვიყვან ახეთ შედარებას: 1963 წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 78.000 მანეთს უდრიდა, შარშან კი 100.000 მანეთს გადააჭარბა. მაგრამ ესეც არ არის ...ზღვარი. კოლმეურნეობას საშუალება აქვს კიდევ უფრო გაზარდოს შემოსავალი და ამით მეტი ანაზღაურება მისცეს კოლმეურნეებს. ამის შესაძლებლობას გვაძლევს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ახალი შესასყიდი ფასების დაწესება. ეს დიდი დახმარებაა და ჩვენ იგი კოლმეურნეობის ეკონომიურად გაძლიერებისათვის, მშრომელთა წახალისებებისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ამ დღეებში კოლმეურნეობის გამგეობამ იმსჯელა იმ ხაკოთხზე, თუ რა გზით შეიძლება გაიზარდოს ფულადი შემოსავალი. ხაკოთხის განხილვისას საინტერესო წინადადებები წამოაყენეს კოლმეურნეობის ბუხჰალტერმა ვ. ციხელაშვილმა, მთავარმა ზოოტექნიკოსმა ფ. დევნოზაშვილმა, კოლმეურნე ვ. დევნოზაშვილმა და სხვებმა. მათი წინადადებების მთავარი არსი ის არის, რომ შესასყიდი ფასების გადიდება კარგია, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მოწინავე მეთოდების დანერგვას, აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას და სხვ. აქტივისტების ხმას კი ჩვენ ყოველთვის დიდ ანგარიშს ვუწევთ,

სასოფლო-სამეურნეო არტელის მართვაში ყველა კოლმეურნე უნდა მონაწილეობდეს

◆

რაც გვეხმარება საზოგადოებრივი მეურნეობის ალმავლობის საქმეში.

შეიძლება ითქვას, ჩვენ შარშანაც განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებაზე. კოლმეურნეებს დავპირდით, რომ მივცემდით გეგმის ზევით ნაჭარბი პროდუქციის გარკვეულ რაოდენობას. ეს დაპირება შევუსრულეთ. ავიღოთ მეცხოველეობა. მწველავებს ვაძლევთ პროდუქციის 20 პროცენტს. ამან დიდი დაინტერესება გამოიწვია მწველავებს შორის, ამიტომაც იყო, რომ მწველავებმა ი. კაკელელაშვილმა, პ. მუსაეზიმ, ს. დევნოზაშვილმა და სხვებმა, რომლებსაც თვითეულს მოსავლელად მიჩენილი ჰყავთ 10-15 ძროხა, რძის მიღების წლიური გეგმები ორი თვით ადრე გაანაღდეს. თვითეულმა დამატებითი ანაზღაურების სახით მიიღო სულ მცირე 300-400 კილოგრამი რძე.

მატერიალური დაინტერესების პრინციპმა საუკეთესო შედეგი გამოიღო მეკარტოფილეობაშიც. აი უბრალო, მაგრამ ნათელი ფაქტები: ვ. დევნოზაშვილმა, რომელსაც მოსავლელად ჩაბარებული ჰქონდა 0,27 ჰექტარი კარტოფილის ნაკვეთი, გეგმით გათვალისწინებული 2.700 კილოგრამის ნაცვლად მიიღო 4.400 კილოგრამი კარტოფილი. აქედან მას დამატებითი ანაზღაურების სახით მიეცა 837 კილოგრამი კარტოფილი. ასევე დიდი დამატებითი ანაზღაურება მიიღეს კოლმეურნეებმა ფ. ციხელაშვილმა, ვ. ოქრუაშვილმა და სხვებმა. საჭიროა აღინიშნოს, რომ შარშან კოლმეურნეობამ დამატებითი ანაზღაურების სახით გასცა 180 ტონა კარტოფილი, 30 ტონა სიმინდი, 10 ტონა ხორბალი, 4 ტონა რძე.

კარგად მოვაწყეთ ნაკვეთებზე მექანიზატორების მიმაგრება. პირობა ასეთია: „მობნევ, დათესავ, დამუშავებ, მომკი — და ნაჭარბის 20 პროცენტს მიიღებ დამატებითი ანაზღაურების სახით!“ სწორედ ამან განაპირობა, კოლმეურნეობაში სიმინდის, ხორბლისა და ქერის უხვი მოსავალი რომ მივიღეთ.

არის კიდევ ერთი საკითხი. ამ ბოლო დროს ჩვენ გულისყურით ვუსმენთ გამოცდილ კოლმეურნეებს, ვსწავლობთ მათ სხებისაგან. მახსოვს, შარშან, ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, ჩემთან მოვიდა მხცოვანი კოლმეურნე ი. დაუთაშვილი.

— ჩვენი კოლმეურნეობა არცთუ ისე პატარაა რაიონში, — მითხრა მან. — ჰოდა 150 ჰექტარი ხორბალი კოლმეურნეობაში, სადაც 500-მდე კომლი ცხოვრობს, განა საკმარისია? გავტეხოთ უამრი, დავთესოთ მარცვალი და იქიდან სარგებელი მივიღოთ. მხცოვანი კოლმეურნის ნათქვამი ჭკუაში დაგვიჯდა. მალე გამგეობის სხდომაზე განვიხილეთ ხორბლის ნათესი ფართობის გაზრდის საკითხი. აზრმა, რაკი ნათელი და გასაგები იყო, ყველა კოლმეურნის მხარდაჭერა ჰპოვა. მართლაც გავტეხეთ 150 ჰექტარზე მეტი უამრი და ხორბლის ნათესი ფართობი ერთიორად გავზარდეთ. ეს გაგებული ნაბიჯი იყო, და პირველი ცდისთანავე მოგვცა შედეგი.

კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე მრავალი საყურადღებო საკითხი დააყენეს აგრეთვე კოლმეურნეებმა ტრაქტორისტმა პ. კაკელელაშვილმა, მემინდვრე მ. დევნოზაშვილმა და სხვებმა. ყველა ეს საკითხი გავითვალისწინეთ ჩვენს საქმიანობაში.

წარმატებათა მოპოვებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. კარგად შევისწავლეთ ვ. დაუთაშვილის ბრიგადის მუშაობის მეთოდები. ამ ბრიგადამ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 170 ცენტნერი კარტოფილი, 28 ცენტნერი ხორბალი, 21 ცენტნერი სიმინდი და სხვა კულტურები. მოწინავე ბრიგადის მუშაობის მეთოდები გავაცანით სხვა ბრიგადებს. ამასთან მათ შორის გავშალეთ სოციალისტური შეჯიბრება. [illegible] ბრიგადა [illegible] ასეულ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

საერთაშორისო ცხოვრება

მრისხანე ხმა

ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ბარბაროსული მეთოდები, რომლებსაც ისინი იყენებენ, მსოფლიოს საზოგადოებრიობის მრისხანე პროტესტს იწვევს.

ინდოეთი. შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს აგრესიას ვიეტნამში, ახალ საფრთხეს ქმნის. ამერიკის ხელისუფალნი იყენებენ გაზს, ნაპალმსა და ფოსფორის ბომბებს. ახლა ისინი თავხედურად აცხადებენ, რომ განზრახული აქვთ გააძლიერონ ეს ომი, ნათქვამია ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სამდივნოს განცხადებაში. ინდოეთის კომუნისტური პარტია იზიარებს ყველა ინდოელის შეშფოთებას, რომლებიც მშვიდობასა და ხალხთა დამოუკიდებლობას მოითხოვენ. ინდოეთის კომუნისტური პარტია ყველა თავის კომიტეტს შტატებსა და რაიონებში მოუწოდებს მოაწყოს საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები, რათა სასტიკად დაგმოს შეერთებული შტატების ბარბაროსობა. მოითხოვენ, რომ ამერიკელებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია, გამოიყვანონ მეელი თავიანთი ჯარები და გამოიტანონ იარაღი სამხრეთ ვიეტნამიდან და გააუქმონ იქ ამერიკის ბაზები.

რუმინეთი. ბუქარესტში გაიმართა ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა გადაწყვიტეს დაგმეს შეერთებული შტატები, რომლებიც მოიწვევენ „ფასტიკა“ აქვთ გამოსახული. ქუჩებში ისინი ჩვეულებრივი ტანსაცმლით დადიან, მაგრამ დადიან ჯგუფებად. ისინი თავს პოლიტიკურ ნაციონალისტებად თვლიან“, — ასე იწყებს იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საინფორმაციო საგაზეთს ბუენოსაირესელი კორესპონდენტი თავის ინფორმაციას არგენტინელ ფაშისტთა შესახებ.

არგენტინელ მოიერშეთა ორგანიზაციას — „ტაკუარას“, წერს იგი, მეთაურობს 27 წლის ხორსტ ქიხმანი — ნაცისტი დამნაშავის ადოლფ ქიხმანის ვაჟი. ადოლფ ქიხმანი ისრაელის აგენტებმა მოიტაცეს არგენტინიდან და სიკვდილით დასაჯეს 1962 წელს მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელთა მასობრივი მოსპობისათვის.

ფაშისტები სახლების კედლებზე წერენ ლოზუნგებს, რომლებიც მორთულია სვასტიკებით, აწყობენ დარბევებს, ბუენოს-აირესის ერთ-ერთ ქუჩაში დაპკიდეს მაჩვენებელი: „ადოლფ ჰიტლერის ქუჩა“ ფაშისტთა მთავარ ბინაში პოლიციამ აღმოაჩინა იარაღის, სამაზრი მასალების საიდუმლო საწყობი, აქვე იყო ფაშისტური ალმები, ტერორისტულ მოქმედებათა გეგმები.

მაგრამ, პოლიციას, განაგრძობს, კორესპონდენტი, არ ძალუძს გაუსწორდეს „ტაკუარას“, იმიტომ, რომ მთავრობის მაღალი თანამდებობის ბევრი მოხელე და საქმიანი მოსამსახურე. დაწყებული ოცდაათიანი წლებით, სიმპათიით ეკიდება ფაშიზმს.

ს. ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 2 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს ნაკისრი აქვთ მტკიცე ვალდებულებანი სამხრეთ ვიეტნამის თავდაცვის შესახებ და აპირებენ შეასრულონ ეს ვალდებულებანი. მან დაიმოწმა ავრეთვე რეზოლუცია, რომელიც გასულ წელს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა. ეს რეზოლუცია უფლებას აძლევს მას გამოიყენოს ყველა საჭირო საშუალება სამხრეთ ვიეტნამის დასაცავად. პრეზიდენტმა სრულიად გარკვევით თქვა, რომ შეერთებული შტატები არ აპირებენ სამხრეთ ვიეტნამიდან წასვლას.

ჯონსონმა თქვა, ახლა ამერიკის საიგონელ ელჩთან ტეილორთან ერთად ვიხილავ ღონისძიებებს სამხრეთ ვიეტნამისათვის ამერიკის დახმარების ეფექტიანობის გასაფართოებლად და გასადიდებლადო. მან უარყო, რომ რაიმე აზრთა სხვადასხვაობა იყოს მთავრობაში იმ პოლიტიკის გამო, რასაც ამერიკა ახორციელებს სამხრეთ ვიეტნამში. პრეზიდენტმა არსებითად დაიცვა ის, რომ სამხრეთ ვიეტნამის ომში იყენებენ ამერიკულ მომწოველ გზებს. როგორც მან თქვა, ეს გზები სამხრეთ ვიეტნამის არმიის შეიარაღების მხოლოდ „სტანდარტული საშუალებაა“, რომელიც განკუთვნილია არეულობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯონსონმა განაცხადა, სამხრეთ ვიეტნამის არმიის სარდლობას არ უკითხავს ჩემთვის, გამოიყენოს თუ არა ეს გზებიო.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 2 აპრილი. (საკდესი). გუშინ მუშათა დაამთავრა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

პლენუმმა მოისმინა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის რაიმონ გიუიოს მოხსენება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ, რომელიც მოსკოვში გაიმართა მარტის დამდეგს.

რეზოლუციაში კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ ნათქვამია, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იწონებს საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეთა კომუნიკეს განცხადების ძირითად იდეას.

მოსკოვის საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილე პარტიებთან ერთად, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, „საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას ავრეთვე საჭიროდ მიაჩნია შეწყდეს ყოველგვარი პოლემიკა, რომელსაც არამეგობრული და შეურაცხმყოფელი ხასიათი აქვს მძმე პარტიებისათვის...“

„საფრანგეთის კომუნისტური პარტია უიოუდ იზიარებს აზრს, რომ პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირი საჭიროა შეესაბამება საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას“.

(საკდესი).

გუდაკეშტი — სახალხო უბგრეთის დედაქალაქი. სურათის ცენტრში — თავისუფლების მონუმენტი ბელეტრის მთაზე.

ფოტო მტი-საკდესისა.

სოციალიზმის გზაზე

იოზეფ სიპკა,

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ისეთი დიდი ცვლილებები მოხდა, როგორიც არა ყოფილა მთელ მის ისტორიაში.

როცა 1945 წლის 4 აპრილს საბჭოთა არმიამ უნგრეთის ტერიტორიიდან განდევნა ფაშისტთა ურდოები, ჩვენი ხალხის წინაშე მარტო ქალაქებისა და სოფლების აღდგენის ამოცანა როდი დაისახა. ხალხს სურდა ეშენა ახალი ქვეყანა და დაიწყო კიდევ რევოლუციური გარდაქმნები. უნგრეთის საუკეთესო მოვლეებმა, კომუნისტებმა, პირველებმა, როგორც ფაშიზმთან ბრძოლის მეაცრ წლებში, ნამდვილი პატრიოტიზმის მაგალითი უჩვენეს 1944 წლის 30 ნოემბერს, როცა უნგრეთში შეკმნილი არ იყო ჯერ კიდევ დროებითი მთავრობა, მათ დებრეცენში გამოაცხადეს „უნგრეთის დემოკრატიული აღდგენისა და აღმავლობის პროგრამა“. მონაცლის იმედით ბამბეგალულმა პროგრამამ საჯაროდ გამოაცხადა: მიუხედავად მძიმე ნგრევებისა, უნგრეთი აღორძინდება!

კომუნისტთა მოწოდებას გამოეხმაურა მთელი ხალხი. მუშათა კლასი უდიდესი სიძნელეებიც გადალახვისათვის ბრძოლის ავანგარდში ჩადგა. საკმარისი არ იყო სურსათი, არ თბებოდა ბინები, არ მუშაობდა ტრანსპორტი, სულ უფრო ეცემოდა ფულის კურსი, მაგრამ აღდგენილი სამუშაოები უნგრეთში. შეუნელებელი ძალით მიმდინარეობდა. ასე უკანასკნელ უნგრელმა შრომელმა ხალხმა ხანგრძლივ და საერთაშორისო რეაქციის ხრიკებს, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ჩაიფუშებოდა ახალი დემოკრატიული წყობილების მეცადინეობა.

გამოღვიძებული ხალხის შემოქმედებით დიად საქმიანობათა პირველი გმირული ნიშანსვეტი იყო:

მიწის გაყოფა, ინფლაციის შეჩერება, ბანკების და სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაცია, ძალაუფლების საკუთარ ხელში აღება, რეაქციის გაფფორებული გამოხდომებისათვის საკადრისი პასუხის გაცემა.

უნგრეთის განთავისუფლებით შეიძლებელი გახდა მის ეკონომიკაში ძირეული გარდაქმნების განხორციელება. ხალხის შემოქმედებითმა ძალებმა, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონები გახდნენ, უზრუნველყვეს უმაგალითო ნაბტომი სამეურნეო განვითარების გზაზე. ოცი წლის მანძილზე უნგრეთის ეკონომიკა უფრო წინ წავიდა, ვიდრე მთელი ასი წლის მანძილზე განთავისუფლებამდე. ბატონების ქვეყანა უნგრეთი გახდა ხალხის ქვეყანა, ხოლო სახალხო ხელისუფლებამ, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა, მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა შორის ჩაყენა. საკმარისია იოქვას, რომ უნგრეთის ეროვნული შემოსავალი ეკონომიური განვითარების ყველაზე თვალსაჩინო ფაქტორია! — 1964 წელს ეროვნული შემოსავალი იყო 3,2-ჯერ მეტი, ვიდრე 1938 წელს.

ჩვენი ხალხის დიდ შემოქმედებით შრომას მოწმობს, ის ფაქტიც, რომ უნგრეთის ძირითადი საწარმოო ფონდის ნახევარზე მეტს შადგენს კაპიტალდაბანდება, რაც განხორციელდა 1950 წლიდან 1964 წლამდე. ადგენითი სამუშაოების დამთავრების თხუთმეტი წლის შემდეგ უნგრეთის მრეწველობამ წარმოება გაადიდა 4,5 ჯერ, ხოლო 1938 წელთან შედარებით — 5,5-ჯერ და უფრო მეტად.

ოცი წლის მანძილზე ისტორიული შემობრუნება მოხდა სოფლის მეურნეობაში. აღსრულდა უნგრელი გლეხობის საუკუნოვანი ოცნება: მიწა გახდა იმათი, საკუთრება, ვინც მას ამუშავებს. უნგრელ მიწამთქმელთა საუკეთესო წარმომადგენლებმა მალე გაიგეს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და გლეხობის კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე სწორი გზა კოლექტივიზაციაა.

1961 წლის დასასრულს სოფლის მეურნეობის გარდაქმნა არსებითად დამთავრდა და დაიწყო ახალი ხანა უნგრეთის გლეხობის ისტორიაში. გლეხობას შეაძლებლობა მიეცა თავი მოეყარა ძალებისათვის თანამედროვე მსხვილი მეურნეობების გასავითარებლად, მათ განსამტკიცებლად. ამჟამად უნგრეთში არის 3.500 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და 200 სახელმწიფო მეურნეობა. კოლექტიური შრომა თანდათანობით სპობს ძველ საზოგადოებრივ ბარიერებსა და ცრურწმენებს და ქმნის გლეხობის ერთიან სოციალისტურ კლასს.

უნგრეთის კულტურულ ცხოვრებაში, თავისი სულიერი სიმდიდრის დაგროვებაში უნგრელმა ხალხმა ავრეთვე მოიპოვა შესანიშნავი წარმატებანი. უნგრეთის განთავისუფლების შემდეგ შემოღებულია სავალდებულო რვაწლიანი სწავლა, აღმოფხვრილია უწიგნურობა, 1964 წელს უნგრეთის ათი მილიონი მოსახლეობიდან ორ მილიონზე მეტი კაცი სწავლობდა სახელმწიფო სასწავლებლებში, შარშან საშუალო სკოლაში სწავლობდა შვიდჯერ მეტი მოსწავლე, ვიდრე ომამდე.

ჩვენი ხალხი აჯამებს სოციალისტური შენებლობის მიღწეულებს. ორი ათეული წლის განმავლობაში და უნგრეთის [illegible] ძმურ [illegible] ... ...

ახალი ათეული · ცოცხალი

თეატრალური ქრონიკა



კურორტი ქობულეთი.

ფოტო ს. კილაძისა.

ბიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ლ. მილორავას „მრუდე კიბე“. სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ცომაიამ, მხატვრულად გაფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბჟანდაძემ.

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). თბილისი არსებობის სამი წლის მანძილზე მაიაკოვსკის სახალხო თეატრის კოლექტივმა ოცზე მეტი სპექტაკლი შექმნა. ამ დღეებში აქაურმა მაყურებელმა ნახა სახალხო თეატრის ახალი დადგმა — აკაკი წერეთლის „კინტო“ (რეჟისორი ს. ახალაძე, მხატვარი შ. ადამია).

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო თეატრმა თავის მორიგ პრემიერად წარმოადგინა ლ. საველიევის „მცდარი ნაბიჯი“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თ. კიკნაძეს, მხატვრობა — გ. ბერეჩიკიძის.

ვ. მესხი.

ჩვენი ინტერვიუ

თქვენთვის, ჩვენო მკითხველებო!

რით გაამდიდრებთ ჩვენი მკითხველის ბიბლიოთეკას მიმდინარე 1965 წელს? — ასეთი კითხვით მიმართა „კომუნისტის“ კორესპონდენტმა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორს ელგუჯა მალრაძეს. აი რა გვიამბო მან:

◆

თემატური გეგმა, რომელიც უკვე დამტკიცებულია და რომლის განხორციელებისათვის ბრძოლა ჩვენი კოლექტივის უპირველესი მოვალეობაა, შემთხვევა ვთქვა, უაღრესად მრავალფეროვანია. ეს ძირითადად განსაზღვრულია ორი გარემოებით.

პირველი, მკითხველს უნდა მივაწოდოთ ისეთი წიგნები და ლიტერატურა, რომელიც ყველაზე საინტერესო და საჭიროა დღევანდელ ეტაპზე. მოგეხსენებათ — თანამედროვე მკითხველი საზოგადოებრივობის ინტერესები კი უაღრესად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია!

მეორე, „საბჭოთა საქართველო“, თუ შეიძლება ასე ითქვას, მრავალდარგოვრივი გამომცემლობაა. გარდა მხატვრული ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურისა, რომელთა „ვეფხისტყაოსანი“ შედარებით დიდია, ჩვენთან გამოდის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური, სამეცნიერო-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ხასიათის ლიტერატურა.

მიმდინარე წელს 480-მდე დასახელების წიგნი, ბროშურა და ჟურნალი უნდა გამოვიცეთ, მათი საერთო ტირაჟი დაახლოებით სამი მილიონ 360 ათასზე მეტი იქნება.

ცხადია, ამ პატარა საგაზეთო ინტერვიუში ყოველად შეუძლებელი იქნება ჩამოვთვალო ყველა ავტორი და ყველა წიგნი. შეკვეცდები გაზეთის მკითხველთა ყურადღება შევაჩეროთ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გამოცემებზე.

ჩვენი გამომცემლობის ხაზით წელს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ქართული ბიბლიოთეკა შეიავსება კარლ მარქსის გენიალური შრომის „კაპიტალის“ მეოთხე ტომით, ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა სამტომეულის მეორე ტომით. გამოვა აგრეთვე ცალკეული ავტორთა შრომები, რომლებიც მიძღვნილია ჩვენი პარტიისა და საბჭოთა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებისადმი.

სოციალურ-ეკონომიური და ისტორიული ლიტერატურის რედაქციამ გამოსაცემად მოამზადა „ქართლის ცხოვრების“ მესამე ტომი (XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა შრომები), ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მეხუთე ტომი, ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე ტომი, შ. ნუცუბიძის კრიტიკული ნარკვევები ფილოსოფიისა და კულტურის საკითხებზე, დ. გერეტაშვილის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, მეორე ნაწილი (XV-XVII საუკუნეები), კ. მეგრელიძის „აზოვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“, გ. გოხალიშვილის „მითრიდატე პონტოელი“, კ. ჩარკვიანის „საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკა“ და სხვა აქტუალური ხასიათის წიგნები.

პოეზიის მოყვარულთათვის სასიხარულო იქნება შეიტყონ, რომ ვიწყებთ ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა გამოცემას 12 ტომად. წელს უნდა გამოვიდეს მეექვსე ტომი (ლექსები, 1908-1946 წლები).

სამოცდაათიათასიანი ტირაჟით გამოვა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. პოემის ამ გამოცემას ჩვენ ვუშოდეთ „წიგნი-საჩუქარი“.

ეფიქრობთ, მკითხველები ინტერესით მიიღებენ გასული საუკუნის მწერალი-ნოველისტის, ცნობილი მოთხრობის — „ქვრივის ლიმონნების“ ავტორის გრიგოლ რჩეულიშვილის ერთტომეულს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა გამომცემლობაა თემატურ გეგმაში წარმოდგენილია თხზულებათა მრავალტომეული კრებულებით და ცალკეული წიგნებით. წელს გამოვა ა. ბელიაშვილის მესამე, კ. გამსახურდიას მეშვიდე, ი. გრიშაშვილის მეხუთე, პ. იგოროყვას მეორე, გ. ლეონიძის მესამე, გ. ქიქოძის მესამე, ს. ჩიქოვანის მეორე ტომები, ე. ზიდგენიძის, ს. კლდიაშვილის, ა. მირცხულავას, დ. შენგელაიის რჩეულ თხზულებათა ერთტომეულები. ცხადია, მკითხველები მიიღებენ აგრეთვე თანამედროვე ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების ცალკეულ ნაწარმოებებსა და კრებულებს.

მნიშვნელოვანი წიგნების გამოცემა გვაქვს დაგეგმილი კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ხაზით. მათ შორის უნდა დასასახელოთ ქართული ლიტერატურის ისტორიის (ექვს ტომად) მეორე (XII-XVIII საუკუნეები) და მეხუთე (XIX საუკუნის ბერეული ნახევარი) ტომები, ი. ბოცვაძის „ვეფ-ფშაველა ქართული ლიტერატურულ კრიტიკაში“, ვ. კოტეტიშვილის „ლიტერატურული ეტიუდები“, გ. მერკვილაძის „თანამედროვე ქართული რომანი“, ჯ. ჭუბერიძის „ქართული ჭრიტიკის ისტორია“.

წელს დამთავრდება ლევ ტოლსტოის ათტომეულის, ა. კუპრინის სამტომეულის, ფ. შილერის სამტომეულის გამოცემები. გამოვა მ. გორკის მე-9 ტომი და ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავის“ უკანასკნელი, მეექვსე წიგნი. მკითხველები მიიღებენ აგრეთვე მ. შოლოხოვის „წყნარი დონის“ ახალი გამოცემის მე-3 და მე-4 წიგნებს ერთ ტომად, ა. ტვარდოვსკის პოემას „შორეთს იქით შორეთი“, გ. ნიკოლაევის რომანს „ბრძოლა გზაზე“, ე. ტარლეს „ტალეირანს“ და სხვ.

მრავალფეროვანია საზღვარგარეთული ლიტერატურის გამოცემათა გეგმაც. წელს უნდა გამოვიდეს შექსპირის, სერვანტესის, ჯ. გოლზუორთის, თ. დრაიზერის, ლ. ფრანკის, ს. ცვაიგის, თ. ჰარდის, ბ. კელერმანის და სხვათა ნაწარმოებები.

1965-66 წ. 12 ტომად გამოვა „სათავგადასავლო ლიტერატურის სერია“, რომელიც ისევ შედგენილი, რომ მკითხველი თანამედროობით გაეცნოს დედამიწის სხვადასხვა კუთხეს, მის ბუნებას, ხალხს, კულტურას.

მრავალი საყურადღებო სპეციალური და სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები გამამზადეს სამრეწველო-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, ეთნოგრაფიული და სპორტული ხასიათის ლიტერატურების რედაქციებმა. მათი აქ ჩამთვლა შორს წაგვიყვანდა. მინდა აღვნიშნო მხოლოდ გ. ფანჯიკიძის „ოქროს ბუნდა“ (თბილისის „დინამოზე“), წიგნში შედის ოთხი სპორტული პორტრეტი — მ. მესხი, ს. მეტრეველი, ვ. ბარქაია, შ. იამანიძე), შ. ვადაჭკორიასა და გ. ჟკოფოვის უხვად დასურათებული „თბილისის „დინამო“ ფეხბურთის ოლიმპიაზე“, აგრეთვე „ლელოს ბიბლიოთეკის“ რამდენიმე წიგნიანი სერია.

როგორც ხედავთ „საბჭოთა საქართველოს“ მომდინარე წლის გამოცემათა თემატური გეგმა მრავალფეროვანია. ახლა მთავარია ისე მოვაწყოთ მუშაობა, რომ პირნათელი ვიყოთ მკითხველის წინაშე. რასაც დავპირდით უნდა შეგასრულოთ.

ჩავიცვათ ლამაზად, ოხდენილად

— რა არის ახალი მოდაში, რა სახის ტანსაცმელს ქმნიან ჩვენი მხატვარი-მოდელიერები? — ამ კითხვით მიმართა „კომუნისტის“ კორესპონდენტმა საქართველოს მოდელების სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს ნელი ხეკელიძეს.

— სანამ მოდის თავისებურებაზე გესაუბრებოდეთ, — გეკითხრა მან, — მინდა მოგახსენოთ ორ ახალ ტანსაცმელზე, რომელიც ჩვენ თეირანის გამოფენისათვის შევქმენით. როგორც ცნობილია, მალე ირანის დედაქალაქ თეირანში გაიხსნება საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა, სადაც საქართველოს სამკერვალო საწარმოთა ნაწარმის სტენდზე დემონსტრირებული იქნება ჩვენს მიერ შექმნილი ტანსაცმლის მოდელები, რომლებიც, სხვადასხვა დანიშნულებისა — ყოველდღიური ჩასაცმელი, სპორტული და გამოსასვლელი. სულ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება გაზაფხულისა და ზაფხულის სეზონის 28 ასეთი კომპლექტი.

ჩვენი მიზანი იყო ტანსაცმელს ჰქონოდა, როგორც თანამედროვე მოდისათვის დამახასიათებელი სისადავე და მოხერხებულობა, ისე ეროვნული ელფერი. ამას ძირითადად მივაღწიეთ ქარგულობისა და ვერცხლის სამკაულების გამოყენებით. გამოფენაზე გავგზავნეთ აგრეთვე ჩვენი მხატვარი-მოდელიერების მიერ შექმნილი ქართული ეროვნული კაბები, რომლებიც ადრე, როგორც ეთნოგრაფიული ნიმუშები, წარმატებით იქნა დემონსტრირებული ბრიუსელისა და კუბის საერთაშორისო გამოფენებზე.

თეირანის გამოფენისათვის შექმნილი განსაკუთრებით საინტერესო კოსტუმების ავტორები არიან მ. ცურინოვა და თ. კალანდაძე.

წლევანდელი მოდისათვის კვლავ დამახასიათებელია სისადავე, პრაქტიკულობა და ტანსაცმლის სპორტული ხასიათი, რაც ძირითადად ჩვენმა დღევანდელმა ცხოვრებამ კიდევ უფრო დაამკვიდრა. ტანსაცმელის ხაზებისა და მორთულობის სისადავე განაპირობა აგრეთვე იმ ახალმა ლაქაზმა სინთეზურმა ქსოვილებმა, რომლებსაც ფართოდ უშვებენ ჩვენი საფეიქრო საწარმოები. კვლავ რჩება მოდაში ტრიკოტაჟი, მისგან შეკერილი კაბები, კოსტიუმები, პალტოები. გაფართოდა ტანსაცმლის ასორტიმენტი.

განსაკუთრებული ცვლილებები ფერებშიც არა გვაქვს. კვლავ რჩება კლასიკური, შავ-თეთრი, მწვანე, ლურჯი, წითელი და სხვ.

საქართველოს მოდელების სახლში ამჟამად მუშაობენ 1966 წლის ყველა სეზონის ქალის, ბავშვისა და მამაკაცის ტანსაცმლის ახალ მოდელებზე, რომლებსაც შემდეგ გადასცემენ საწარმოებს მასობრივი წარმოებისათვის.

მომავალი კვარტალიდან მოდელების სახლის მეორე სართულზე გაიხსნება სამკერვალო საამქრო, სადაც შეკერავენ ტანსაცმელს საუკეთესო მოდელების მიხედვით.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ

▲ **ᲮᲝᲒᲘ.** (საკ. კორ.). ხეთის კოლმეურნეობამ ააშენა კლუბ-კინოტორა, რომელიც ახლახან გადაეცა საექსპლოატაციოდ. ახალ შენობაში მოთავსდა კოლმეურნეობის გამგეობა, ბუხჰალტერია და პარტბიურო. კოლმეურნეობას ახლა 250-ადგილიანი კლუბი ექნება.

▲ **ᲡᲝᲩᲘᲨᲘ** სინოპის მახლობლად შავი ზღვის პირას საქართველოს თეატრალური საზოგადოება აშენებს მსახიობთა 50-ადგილიან დასასვენებელ სახლს.

აქვე შენდება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სანატორიული ტიპის 110-ადგილიანი დასასვენებელი სახლი. ახალი დასასვენებელი სახლიები მალე მიიღებენ ხელოვნების მუშაკთა პირველ ჯგუფს.

ნ. მიქაშავიძე.

ᲜᲝᲠᲩᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲗᲐᲛᲫᲦᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ხეთი დღეს გრძელდებოდა ქალაქის სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება.

საგაზაფხულო არდადეგების დღეებში ფილარმონიის საზამთრო თეატრის სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ნორჩი მოცეკვავენი, მოცეკვავეები, დეკლამატორები, ტანმოვარჯიშეები. დათვალიერებამ ბევრი ნიჭიერი შემსრულებელი გამოაკლინა.

• ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ •

მეტოქეები ძალებს ცდიან

ᲐᲮᲚᲝᲕᲔᲓᲔᲑᲐ მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ამ ასპარეზობის წინ ტურნირს თბილისში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. იგი წარმოადგენს ძალთა ერთგვარ მოსინჯვას, გენერალურ რეპეტიციას.

თბილისის სტუმრები არიან მსოფლიოში აღიარებული მოჭიდავეები თურქეთიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, ფინეთიდან, მონღოლეთიდან. ამ ქვეყნების წარმომადგენლებს, აგრეთვე სსრ კავშირის უძლიერეს მოჭიდავეებს ვხედავდით გუშინ სპორტის სასახლეში საკიდაო ხალიჩაზე.

თითქმის ყველა წონითს კატეგორიაში შეხვედრათა უმრავლესობა გამოირჩეოდა ბრძოლის მაღალი ოსტატობით, შეუპოვრობით. საკიდაო ხალიჩაზე პირველად გამოვიდნენ უმჩატესი წონის მოჭიდავეები. აქ ორი წყვილი იყო. პირველში ქულებით წარმატება ხვდა რ. სამედოვს (სსრ კავშირი), რომელმაც დაამარცხა ბულგარელი ბ. ბაევი. ასევე ქულებით ზ. შეურილადეთ მოუგო ი. სონინს (სსრ კავშირი).



მჩატე წონაში პაექრობა ჰქონდა ოთხ წყვილს. მსოფლიოს ჩემპიონმა ა. ალიევმა ეფექტურად ჩაატარა ბრძოლა პოლონელ ე. როტაინაკთან და 2 წუთსა და 54 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. თურქი ჯ. სეჩერი ენერგიულად იბრძოდა დ. მუშელიანის წინააღმდეგ და წარმატებასაც მიაღწია. ფინელმა ტ. იასკარიმ 4 წუთსა და 47 წამში სძლია რ. ისმაილოვს (სსრ კავშირი), თურქეთის წარმომადგენელმა მ. ქაბა ნელმ 8 წუთსა და 2 წამში მოუგო მონღოლ ხ. ნამშირს.

მსუბუქ წონაში ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ძველი მეტოქეების ზ. ბერიაშვილისა და ი. გუსოვის (ორივე სსრ კავშირი) პაექრობა. ზ. ბერიაშვილი უფრო აქტიური იყო, მოწინააღმდეგემ მიიღო გაფრთხილება და გამარჯვებაც ბერიაშვილს ხვდა. თურქეთის ორგზის ჩემპიონის ნ. ოზგერის წინააღმდეგ ენერგიულად გამოვიდა გ. ჯოგლიძე და შეხვედრა ფრედ დაამთავრა.

ხსარეზობა გვიან ღამემდე გაგრძელდა. დღეს გაიმართება მორიგი შეხვედრები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜ: ს. ქარსაულიძისა და ე. ტოლოროვის შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲡᲐᲠᲐᲔᲕᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠ-ᲓᲔᲚ-ᲙᲚᲐᲢᲐᲨᲘ

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ქალაქ სარაევოსა და არგენტინის კურორტ მარ-დელ-პლატაში გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირები, სადაც სხვებთან ერთად გამოდიან საბჭოთა გროსმაისტერები ლ. პოლუღაევსკი, ა. სუეტინი, ი. ავერბახი და ლ. შტეინი.

სარაევოს ტურნირზე გათამამდა რვა ტური. ლიდერები არიან მ. მატულოვიჩი (იუგოსლავია) და ბ. ფერინტოშმ, რომლებსაც ხუთნახევარ-ხუთნახევარი ქულა აქვთ. ლ. პოლუბასუსკისა და ა. სუეტინს ხუთ-ხუთი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, ბ. ტრინდოშს (ბულგარეთი) და ვ. ულმანს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — ხუთ-ხუთი ქულა.

მარ-დელ-პლატას ტურნირზე წარმატებით გამოდის არგენტინელი გროსმაისტერი მ. ნაიდორფი, რომელსაც 5,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს. ი. პეტრიანოვსკმ და ლ. შტეინმა ხუთ-ხუთი ქულა შეაგროვეს.

◆

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ თასის ორეზის, მფლობელებმა ბრაზილიის „სანტოსის“ ფეხბურთელებმა დატოვეს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის გათამაშება. მესამე ნახევარფინალური მატჩში, რომელიც ბუენოს-აირესში გაიმართა, ბრაზილელებმა წააგეს ურუგვაის „პენიაროლთან“ ანგარიშით 1:2, გადამწყვეტი ბურთი „სანტოსის“ კარში ურუგვაელებმა გაიტანეს დამატებით დროში.

△ **ᲑᲐᲐᲛᲚᲘ.** „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა დაამთავრა ტურნე ირანში. უკანასკნელი მატჩი „ნეფტიანიკმ“ ჰქონდა თეირანის ნაკრებთან. გამარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 1:0.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

საოცარი მთის ყვავილი

„ᲘᲡ ქალაქი ათას წელს იდგა, მაგრამ დამპყრობლებმა ვერ მოახერხეს მისი კედლების დანგრევა...“ — ნათქვამია თქმულებაში ქალაქ შაჰრა-მუნგის შესახებ. ეს მტკიცე კედლები, როგორც ისტორიოსები ამტკიცებენ, აშენებული იყო ფხვნილის ნარევით, რომელსაც მთის ყვავილის შირიაშის ფესვებისაგან ამზადებდნენ.

ტაჯიკურ ლეგენდებსა და ძველ ხელნაწერებში ხშირად არის მოხსენიებული სასწაულმოქმედი შირიაში (ერემურუსი) — მაღალი ბალახოვანი მცენარე, რომელსაც თავზე ჭიკა ადგას. უძველესი დროიდან მისი ფესვებისაგან ადგილობრივი მოსახლეობა ამზადებდა წებოვან ნივთიერებას, რომელიც სახმაბელს წაუვავს. ამ ნივთიერებას ურევდნენ ნაშენ მასალებს, როცა განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაგებობებს აშენებდნენ: ციხე-სიმაგრეებს, მინარეთებს. მას იყენებდნენ აგრეთვე ხალხურ მედიცინაში.

ტაჯიკეთში ხარობს დაახლოებით ოცდაათი სახეობის ერემურუსი — ნახევარზე მეტი, რაც მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ამ მცენარეთა ფესვებში ტაჯიკეთის მეცნიერებთა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ო. კუდრიაშევამ აღმოაჩინა ბიოლოგიურად აქტიური წებოვანი ნივთიერების — ერემურანის 37 პროცენტი. ერთი მისი კომპონენტთაგანი აღმოჩნდა დეფიციტური მანოზა, რომელსაც ამჟამად ტროპიკული მცენარეებისაგან. კერძოდ, ქოქოსის კაკლის ნაჭუჭისაგან იღებენ და იყენებენ სისხლის შემცვლელების დამზადების დროს.

ᲛᲐᲠᲐᲯᲘᲣᲚᲘ ᲧᲘᲜᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲛᲝᲒᲘᲜᲐᲯᲠᲔᲑᲘ

მეცნიერებმა ტიან-შანის მთის მყინვარებში აღმოაჩინეს საოცარი მობინადრენი. ერთ-ერთი მათგანი ნახშირივით შავი ქაჯარა კოღოა. მას აქვს გრძელი ულვაში და ფეხები, არაჩვეულებრივად ფართო ფრთები. წინათ ასეთი მწერი უფრო სამხრეთით ბინადრობდა. მეცნიერებმა დღემდე არაფერი იციან ამ მწერების ცხოვრებისა და ჩვევების შესახებ.

ალმა-ათელმა ენტომოლოგმა პროფესორმა პავლე მარიკოვსკიმ თქვა, რომ ტიან-შანში ბინადრობენ აგრეთვე ბორეუსები, ანუ როგორც მათ უწოდებენ, ყინვარლები. ამ პატარა შავ გრძელფეხა და ხორთუმიან მწერებს აქვთ წამონაზარდები ფრთების ნაცვლად, როგორც კი სიშიშვლეებს იგრძნობენ, მყისვე „ჩაყვინთავენ“ ხოლმე ნესტოვან თოვლში. არავინ იცის, თუ რით იკვებებიან და ცხოვრობენ ეს მწერები.

მეენერის ვარაუდით, ამ საოცარი მწერების წინაპრები ჯერ კიდევ ყინულოვან ხანაში შეეგუენ თოვლსა და ყინულში ცხოვრებას.

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲑᲘ... ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲨᲘ

ᲐᲮ მილიონ ცენტნერზე მეტი ზღვის კომბოსტო, საკვები წყალმცენარე და ბალახი შეიძენენ ყოველწლიურად მოვიწოთ შავი, ბალტიისა და შორეული აღმოსავლეთის ზღვების წყალქვეშა „ბოსტნებში“. ეს საინტერესო მონაცემები გაიანგარიშეს სრულიად საკავშირო ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

საბჭოთა მეცნიერებმა გამონახეს ზღვის წყალმცენარეებისაგან მიღებული აგარ-აგარის მრეწველობაში ფართოდ გამოყენების გზები. მაგალითად, საფეიქრო მრეწველობაში ერთი კილოგრამი აგარ-აგარი ცვლის ორ კილოგრამამდე სახამებელს. კონდიტერები აფართოებენ აგარ-აგარის გამოყენებას ჯემის, მარმელადის, ზეფირის წარმოებაში. ერთი ტონა ზღვის ფხვნილი საკმარისია 20 ვაგონი მარმელადის დასამზადებლად.

აგარ-აგარის არ ჩამორჩება აგრეთვე ალგინატი. ამ ძვირფას ნივთიერებას ქიმიკოსები იღებენ შუა წყალმცენარისაგან — ლამინარისაგან. ალგინატი გამოიყენება საფეიქრო, ქიმიურ და კვების მრეწველობაში, აგრეთვე მედიცინაში.

ზღვის კომბოსტო ხმელეთის კომბოსტოს შესანაცვლი კონკურენტია. წელს მნიშვნელოვნად გადიდდება ამ უფასო და სამკურნალო მცენარის მოპოვება და გადამუშავება. (საკადეს).

ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ აღმოსავლეთის გეოლოგიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფმა დაამთავრა შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ძველი ვულკანური მოქმედების შემსწავლელი მასალების დამუშავება, აღმოჩნდა, რომ ვულკანების საშიშ ამოფრქვევათა ბევრი კვალია სიხოტეალინის მთებში. აქ აღმოჩენილია ძველი ვულკანების ყელმები, რომლებიც მოქმედებდნენ მილიონობით წლის წინათ. უკანასკნელი კვლევის შედეგად კი ამოხსნილია ზღვისპირეთის გეოლოგიური წარსულის კიდევ ერთი ახალი საიდუმლო. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ზოგიერთ ამოფრქვეულ მთის ქანს შეუსრულდა... მილიარდი წელი!

ძველი ვულკანების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც წესი, დროით შემუსვრილ მთის ქანების სიღრმეებში არის ბევრი ძვირფასი სასარგებლო წიაღისეული: ოქრო, კალა, ტყვია, თუთია და ბევრი სხვა.

ᲢᲝᲜᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲐᲜᲘ „ᲛᲖᲔ-ᲗᲔᲕᲖᲘ“

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის სამეცნიერო-საძიებო გემს „ვნეევნის“ ეკიპაჟმა ტასმანის ზღვაში აღმოაჩინა გიგანტური „მზე-თევზის“ იშვიათი ეგზემპლარი. აი რა თქვა ეს ამბავი ეგზემპლარი. ეი ია ეუწყა რადიოთი საყოველთაოს ოდესელ კორესპონდენტს გ. ომბაროსკის სამეცნიერო-საძიებო ექსპედიციის უფროსმა გენადი სოლიანიკმა:

...გვიმიდან კაპიტანის უფროსმა თანაგამშეფემ იგორ ჟურავლიოვმა წყლის ზედაპირზე შენიშნა უცნაური ფორმის დიდი საგანი. ეს იყო გიგანტური „მზე-თევზი“.

ათი მეტრი მანძილიდან გაისმა ჰარპუნის სასროლი ზარბაზნის გამაყრუებელი ხმა. მაგრამ ერთი სანტიმეტრი სიზრქის ჰარპუნი ორად მოიხარა და მოხვედრის შემდეგ ასხლტა. საოცარი თევზი კვლავ ადგილზე იწვა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს... მხოლოდ მეათე გასროლის შემდეგ ჰარპუნი შეეკრა თევზის სხეულში. დიდი ჯაფა დასჭირდა ეფროს ოსტატ ალექსი კრავცოვს, რომ გემის მძლავრი ჯალაბრით ამოეთრია თევზი გემბანზე.

„მზე-თევზის“ სიგრძე ადემატებოდა ოთხ მეტრს, სიმაღლე იყო დაახლოებით ორი მეტრი, წონა კი 1500 კილოგრამი. თევზის თითო თვალი შვიდ-შვიდ კილოგრამს იწონიდა. მაკარი სქელი ტყავი, როგორც ჯავშანი ფარავდა მთელ სხეულს. მხოლოდ პატარა პირის, ლაყუჩების ხერელებთან და კუდთან ჩანდა რბილი ტყავის ქერქი ნაოჭებ-ნაოჭებ.

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲑᲘ... ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲨᲘ

ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲛᲝᲒᲘᲜᲐᲯᲠᲔᲑᲘ

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ საკავშირო დათვალიერებისათვის ემზადება ოთხი ორეული. ამ ასპარეზობის ერთ-ერთ ადგილზე, ბესლანში, ეკიპაჟმა ტასმანის ზღვაში აღმოაჩინა გიგანტური „მზე-თევზის“ ექვსი ეგზემპლარი. ეი ია ეუწყა რადიოთი საყოველთაოს ოდესელ კორესპონდენტს გ. ომბაროსკის სამეცნიერო-საძიებო ექსპედიციის უფროსმა გენადი სოლიანიკმა:

...გვიმიდან კაპიტანის უფროსმა თანაგამშეფემ იგორ ჟურავლიოვმა წყლის ზედაპირზე შენიშნა უცნაური ფორმის დიდი საგანი. ეს იყო გიგანტური „მზე-თევზი“.

ათი მეტრი მანძილიდან გაისმა ჰარპუნის სასროლი ზარბაზნის გამაყრუებელი ხმა. მაგრამ ერთი სანტიმეტრი სიზრქის ჰარპუნი ორად მოიხარა და მოხვედრის შემდეგ ასხლტა. საოცარი თევზი კვლავ ადგილზე იწვა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს... მხოლოდ მეათე გასროლის შემდეგ ჰარპუნი შეეკრა თევზის სხეულში. დიდი ჯაფა დასჭირდა ეფროს ოსტატ ალექსი კრავცოვს, რომ გემის მძლავრი ჯალაბრით ამოეთრია თევზი გემბანზე.

„მზე-თევზის“ სიგრძე ადემატებოდა ოთხ მეტრს, სიმაღლე იყო დაახლოებით ორი მეტრი, წონა კი 1500 კილოგრამი. თევზის თითო თვალი შვიდ-შვიდ კილოგრამს იწონიდა. მაკარი სქელი ტყავი, როგორც ჯავშანი ფარავდა მთელ სხეულს. მხოლოდ პატარა პირის, ლაყუჩების ხერელებთან და კუდთან ჩანდა რბილი ტყავის ქერქი ნაოჭებ-ნაოჭებ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲚᲘᲛᲩᲘᲡᲐᲜᲓᲠᲘ ყაზბეგის სახელობის მხატვრმოყოდნის მუზეუმს წელს მაისში დაარსების 30 წელი უსრულდება.

იგი ორმხრივ მემორიალურია, — როგორც ალ. ყაზბეგის სახლი და რევოლუციონერი შტაბი. ყაზბეგში ამ შტაბს ცნობილი რევოლუციონერი საშა გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა.

მუზეუმი ოთხი განყოფილებისაგან შედგება. საბუნებისმეტყველო განყოფილებაში გამოფენილია ყაზბეგის რაიონისათვის დამახასიათებელი ფლორის, ფაუნისა და მთის ქანების ნიმუშები. რევოლუციამდელი ისტორიული განყოფილების დარბაზში დგას ძველებური მოხვეული სახლის მაკეტი თავისი მოწყობილობით — ავეჯით, იარაღებით, ჯამბარეულით. ამავე განყოფილებაში ექსპონირებულია მოხვეული ჩაცმულობა.

მნახველთა ყურადღებას იქცევს სოციალისტური პერიოდის განყოფილებაში ექსპონირებული განახლებული ხვეის ამსახველი ექსპონატები, რომლებიც ნათლად მეტყველებენ რაიონში სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის განვითარებაზე.

მუზეუმის სამი დარბაზი დათმობილი აქვს აკ. ყაზბეგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. აქ თამთვალიერებლები ეცნობიან მწერლის ავადს, საწერ მაგიდას, საოჯახეულ ნივთებს, სხვადასხვა მხატვრულ ტილოებს.

ᲡᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲥᲔ

— რა არის ახალი მოდაში, რა სახის ტანსაცმელს ქმნიან ჩვენი მხატვარი-მოდელიერები? — ამ კითხვით მიმართა „კომუნისტის“ კორესპონდენტმა საქართველოს მოდელების სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს ნელი ხეკელიძეს.

— სანამ მოდის თავისებურებაზე გესაუბრებოდეთ, — გეკითხრა მან, — მინდა მოგახსენოთ ორ ახალ ტანსაცმელზე, რომელიც ჩვენ თეირან